MES 5 21 0001261665

24/11/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომისთარიღი: 09.11.2021
სხდომისდაწყებისდრო: 15:00 სთ
სხდომისდასრულებისდრო: 21:05 სთ
საბჭოსთავმჯდომარე: ნათიაზედგინიძე- ჯიშკარიანი
საბჭოსმდივანი: მარიამშენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლოპროგრამებისაკრედიტაციის (შემდგომშისაბჭო) სხდომაზედამსწრეწევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **გაიანე სიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
5. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. **ანზორ ბერიძე -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
7. **გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

8. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
9. **გიორგი ღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
11. **დიანა მჭედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
12. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
13. **თამარ ჩხეიძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
14. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
15. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზედამსწრეპირები

სსიპ - განათლებისხარისხისგანვითარებისეროვნულიცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლოდაწესებულებისწარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდ აწესებულებისდასახ ელება	სტატუსი	საკითხი
1	საფფეთ ბაირაქთუთან		უნივერსიტეტის რექტორი	I, II, III
2	თეა კბილცეცხლაშვილი		ვიცე-რექტორი სასწავლო და სამეცნიერო დარგში	I, II, III
3	ნინო ჯოჯუა		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;	I, II, III

			ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით	
4	ნიკა ჩიტაძე	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	საერთაშორისო ურთიერთობების ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამების და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	I, II, III
5	გიორგი ლეკვეიშვილი		მოწვეული ლექტორი	I, II, III
6	ბაია ივანეიშვილი		საერთაშორისო ურთიერთობების ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამების და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის თანახელმძღვანელი	I, II, III
7	თეიმურაზ ქორიძე		რექტორი	IV
8	თამარ ტუფინაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი	IV
9	ქეთევან ნანობაშვილი		ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლის დეკანი, პროფესორი	IV
10	დავით კბილაძე	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	IV
11	თინათინ დოლიაშვილი		პროფესორი	IV

აკრედიტაციისექპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონული საშუალებითმონაწილეობის შესახებ	საკითხი

1	ირაკლი მანველიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II, III
2	გვანცა აბდალაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II, III
3	ირმა ქურდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II, III, IV
4	ნანა ფირცხელანი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II, III
5	ეკა ლეკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
6	ლელა ბახტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
7	ირმა ქურდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
8	თამარ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

საბჭოსთავმჯდომარემსაბჭოსწევრებსგააცნოდღისწესრიგისპროექტი:

1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების" (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობადღისწესრიგისცვლილებასთანდაკავშირებით:
არა
დამტკიცებულიდღისწესრიგი:

1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების" (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველისაკითხი : შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2011 წლის 09 დეკემბრის N441 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები (ქართულენოვანი)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0131, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი 13 კმ.,
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

მეორე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების" ინგლისურენოვანი საბაკლავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები (ინგლისურენოვანი)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2011 წლის 09 დეკემბრის N437 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები (ინგლისურენოვანი)

6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0131, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი 13 კმ.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

მესამე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები (ინგლისურენოვანი)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 01 თებერვლის N12 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები და პოლიტიკა (ინგლისურენოვანი)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -7
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	

		საქართველო, 0131, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი 13 კმ.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- დიანა მჭედლიშვილმა
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ვინაიდან სამივე განსახილველი პროგრამა შეაფასა ერთმა ექსპერტთა ჯგუფმა, წინააღმდეგი ხომ არ იყვნენ შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო (ქართულენოვანი), „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო (ინგლისურენოვანი) და „საერთაშორისო ურთიერთობების“ სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამები საბჭოს განეხილა თანმიმდევრობის დაცვით ერთი შესვენების ფარგლებში.
დაწესებულება დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარის შეთავაზებას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ჯგუფის ონლაინ ვიზიტი შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში შედგა 2021 წლის 16-17 სექტემბერს წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის მიხედვით. გასაუბრებები შედგა დაწესებულების წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. გარდა ამისა, დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, და სხვ.) დათვალიერება. დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება გაგრძელდა ორი დღის განმავლობაში 10.00-დან 18.00 საათამდე. პროგრამის შეფასებამ ჩაიარა კონსტრუქციულ გარემოში.
შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო (ქართულენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასეთია:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, ცოდნა და გაცნობიერების, უნარების, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობების ნაწილები ნათლად იყოს წარმოდგენილი პროგრამაში, რათა პროგრამის პროგრამის სწავლის შედეგები იყო მკაფიო და გაზომვადი.
2. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილი, რათა ის შეესაბამებოდეს მოვიდეს სავალდებულო სასწავლო კურსებში (დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა; საჯარო საერთშორისო სამართალი; შესავალი საგარეო პოლიტიკის ანალიზში; შესავალი საერთაშორისო უსაფრთხოებაში; კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში; საქართველოს საგარეო პოლიტიკა; თეზისის წერა (პრაქტიკული კურსი), გაწერილ პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის სწავლის შედეგებთან.
3. რეკომენდირებულია, ცალკეულ სასწავლო კურსებს ჰქონდეთ დაშვების წინაპირობები, რათა ისინი იყვნენ არა მარტო ლოგიკურად და თანმიდევრულად დალაგებულნი, არამედ მან შექმნას სტუდენტისთვის ცოდნის უწყვეტობის და ათვისების საფუძვლიც. (მაგალითად, პოლიტიკური აზრის ისტორია უნდა იყოს პოლიტიკური იდეოლოგიების საფუძვლების წინაპირობა, ასევე სასწავლო კურსი მსოფლიო ისტორიის მიმოხილვა უნდა იყოს წინაპირობა სასწავლო კურსის საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია).
4. რეკომენდირებულია სასწავლო კურსების - პოლიტიკური აზრის ისტორია, საერთაშორისო პოლიტიკა, დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა, შესავალო პოლიტიკურ მეცნიერებაში, საერთაშორისო ორგანიზაციები, საერთაშორისო უსაფრთხოებაში, შესავალი საგარეო პოლიტიკის ანალიზში, საქართველოს საგარეო პოლიტიკა, სწავლის შედეგების რეფორმულირება მათი შემდგომი გაზომვის მიზნით;
5. რეკომენდირებულია, სილაბუსების „შესავალი საგარეო პოლიტიკის ანალიზში“, „გენდერი და საერთაშორისო ურთიერთობები“, „კავკასიის რეგიონი საერთაშორისო ურთიერთობებში“ დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა, სილაბუსების სათაური და შინაარსი იყოს შესაბამისობაში.
6. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის - საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიზნის და სწავლის შდეგის ნაწილის რეფორმულირება რომ შეესაბამებოდეს სწავლების საბაკალავრო საფეხურს;
7. რეკომენდირებულია, სილაბუსებში „კავკასიის რეგიონი საერთაშორისო ურთიერთობებში“, „აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი მსოფლიო პოლიტიკაში“; „საერთაშორისო საჯარო სამართალი“, „შესავალი საერთაშორისო უსაფრთხოებაში“ ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა მითითებულ იქნას მითითების აკადემიური წესების დაცვით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ დაწესებულება რეკომენდაციების ნაწილს ეთანხმება, ხოლო ნაწილი მათი მოსაზრებით, წარმოადგენს ექსპერტთა სუბიექტურ მოსაზრებას და არ უნდა იყოს რეკომენდაციების სახით

ჩამოყალიბებული. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამების სწავლის შედეგები შემუშავდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების მონაწილეობით და მათი მოსაზრებების გათვალისწინებით და ის აქცენტს აკეთებს ყველა იმ ცოდნასა და კომპეტენციაზე, რაც მნიშვნელოვანია დარგში და დასაქმების ბაზარზე. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას, შეესაბამება პროგრამის მიზნებს, არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური, შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონესა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას, შეესაბამება სფეროს სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ამიტომ, პროგრამის სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან. რაც შეეხება სწავლის შედეგების ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში წარმოდგენილი სამი შედეგის საფუძველზე დაჯგუფებას, მისი თქმით, აკრედიტაციის სტანდარტები ასეთ მოთხოვნას არ აყენებს - კერძოდ, არ ზღუდავს სწავლის შედეგების ფორმულირებისას ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი და სწავლის შედეგების კლასიფიკატორით განსაზღვრული ცოდნისა და კომპეტენციების კომბინირებას და უკანასკნელს ხარვეზად არ მიიჩნევს. სწავლის შედეგების წარმოდგენილი, კომბინირებული სახით ფორმულირებისას, უნივერსიტეტმა იხელმძღვანელა პრინციპით, რომ თითოეული მიმართულებით, იქნებოდა ეს დარგის თეორიული საფუძვლები, ისტორია, თანამედროვე პროცესი და გამოწვევები, თუ კვლევითი კომპეტენციები, ეჩვენებინა ცოდნის საფუძველზე, რა კონკრეტული შესაძლებლობები გააჩნია კურსდამთავრებულს. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება გამოიწვევს მხოლოდ სწავლის შედეგების გადაადგილებას, შინაარსობრივად არ შეცვლის მათ და პირიქით, დაარღვევს ფორმულირებას, დაკარგავს აქცენტებს და პირიქით, გაართულებს სწავლის შედეგების შეფასებას.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ სწავლის შედეგების ფორმულირებისას და მათი შეფასების მექანიზმების ჩამოყალიბებისას, დაწესებულებამ იხელმძღვანელა "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო" - თი და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ ჩატარებულ სხვადასხვა ტრენინგითა და ვორქშოპით, რომელიც უნივერსიტეტის პერსონალმა გაიარა და რომელთა ფარგლებშიც, ხაზგასმული იყო სწავლის შედეგების ფორმულირებისა და მათი შეფასების ტექნიკები და მექანიზმები, მათ შორის, მათი კომბინირებული სახით წარმოდგენის შესაძლებლობა. შესაბამისად, დაწესებულება არ იზიარებს ექსპერტთა მოცემულ რეკომენდაციას.

მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუცია არ იზიარებს ექსპერტთა მოსაზრებას, კერძოდ ექსპერტების მიერ ჩამოთვლილ შედეგებს შორის პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მიმართულებით, რომელთა ასახვასაც პროგრამის შედეგებში ითხოვენ, მხოლოდ ორი არ არის ასახული განსახილველად წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგებში. ექსპერტების მიერ აღნიშნულ რეკომენდაციაში დასახელებული ყველა სხვა შედეგი, უკვე წარმოდგეილია პროგრამის მე-8 სწავლის შედეგის სახით, რომელიც კურსდამთავრებული მიერ კვლევის აკადემიური და ეთიკური სტანდარტების დაცვით შესრულების შესაძლებლობაზე საუბრობს. გარდა ამისა, აკრედიტაციის სტანდარტები არ მოითხოვს პროგრამაში, როგორც ექსპერტები ითხოვენ, „სრულად აისახოს და ნაჩვენები იყოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგების განზოგადებული ნაწილი". აკრედიტაციის სტანდარტები მოითხოვს, რომ სწავლის შედეგები მოიცავდეს პროგრამის "შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას". ამიტომ, პროგრამის სწავლის შედეგებში ასახულია

პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შედეგში მოაზრებულია ის კომპეტენციები, რომელთა გამომუშავებასაც პროგრამის მრავლობითი კომპონენტის ფარგლებში, ფართოდ ვუზრუნველყოფთ და ამიტომ არ აისახა ის შედარებით სუსტად გამომუშავებული კომპეტენციები, რომლებიც მხოლოდ ცალკეულ სასწავლო კურსში გვხვდება. ამავდროულად, რადგან პროგრამის ფარგლებში და მის მიღმა, კურსდამთავრებულებზე დაკვირვების თვალსაზრისით, არ შეგვიძლია შევქმნათ კომპლექსური არაპროგროზირებადი სასწავლო ან/და სამუშაო გარემო, ვაცნობიერებთ, რომ ვერ ვუზრუნველყოფთ პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ეროვნული კალიფიკაციების ჩარჩოში დასახელებული შედეგების დიდი ნაწილის შეფასებას, რაც არ არის მოთხოვნილი და აუცილებელი. თუმცა, დაწესებულება ადასტურებს, რომ კურსდამთავრებული აცნობიერებს კვლევის აკადემიური და ეთიკური სტანდარტების დაცვით შესრულების რაობასა და საჭიროებას, და პროგრამაზე სწავლის პროცესშივე, მრავალჯერადად ახორციელებს საკუთარ აკადემიურ/კვლევით საქმიანობას შესაბამისი პრინციპების დაცვით - და აღნიშნულის შეფასება შესაძლებელია. ამიტომ, წარმოდგენილი პროგრამის მე-8 და მე-10 სწავლის შედეგი პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობასთან მიმართებით, მართებულად არის ჩამოყალიბებული და გაწერილი პროგრამაში არსებული ფორმულირებით.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პირველ სემესტრში მოცემულია სასწავლო კურსები: პოლიტიკური აზრის ისტორია და მსოფლიო ისტორიის მიმოხილვა, ხოლო მეორე სემესტრში, პოლიტიკური იდეოლოგიები და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია. ექსპერტების რეკომენდაციაში განხილული სამი შემთხვევიდან, დაწესებულება ეთანხმება მათ მოსაზრებას ერთ შემთხვევაში, კერძოდ, მისი თქმით, მიზანშეწონილია საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის პრერეკვიზიტად მსოფლიო ისტორიის მიმოხილვის კურსის განსაზღვრა. მეორე შემთხვევაში, რაც პოლიტიკური აზრის ისტორიის პოლიტიკური იდეოლოგიების პრერეკვიზიტად განსაზღვრას მოიაზრებს, ასეთ აუცილებლობას დაწესებულება ვერ ხედავს, როგორც მან აღნიშნა, ეროვნულ დონეზე აკრედიტებულ მსგავს პროგრამებში პოლიტიკური იდეოლოგიის კურსი ისწავლება ექსპერტების მიერ მოთხოვნილი პრერეკვიზიტის გარეშე. პოლიტიკური იდეოლოგიების კურსის მიზნებისთვის, პოლიტიკური აზრის ისტორიის წინასწარი ცოდნა გარკვეულწილად სასარგებლოა, თუმცა არა აუცილებელი, რის გამოც, უკანასკნელის დაშვების წინაპირობად განსაზღვრას პირველისთვის, დაწესებულებას მიზანშეწონილად არ მიაჩნია. რაც შეეხება რეკომენდაციის მესამე მოთხოვნას, პოლიტიკური იდეოლოგიების კურსის დემოკრატიული მმართველობისა და კანონის უზენაესობის კურსისათვის წინაპირობად განსაზღვრასთან დაკავშირებით, - მოთხოვნა დაწესებულებისთის სრულიად ბუნდოვანია. უკანასკნელი კურსის შინაარსი არ მოიაზრებს არც ერთ საკითხს, რომლის გააზრებისთვისაც აუცილებელი იქნებოდა პოლიტიკური იდეოლოგიების ცოდნა. მეტიც, სასწავლო კურსი, დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა, დემოკრატიული სახელმწიფოსა და სამართლის შემსწავლელი საბაზისო საფუძვლების კურსია, რომლის ანალოგიური კურსები, როგორც წესი, პოლიტიკისა თუ სამართლის სფეროში ფუნქციონირებადი პროგრამების ფარგლებში პირველივე სემესტრში გვხვდება და ყოველგვარი წინაპირობების გარეშე ისწავლება. შესაბამისად, დაწესებულება რეკომენდაციას არ იზიარებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მე-5 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ისინი მოცემულ რეკომენდაციას იზიარებენ მეტწილად. მისი თქმით, კურსის სათაური არსებული სახითაც შეესაბამება მის შინაარსს, ხოლო ექსპერტების რეკომენდაციები თეორიული საკითხების დამატების შესახებ სასწავლო კურსის შინაარსს გააუმჯობესებს. ამიტომ, გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები, მოდელები და ეტაპები კუბის კრიზისის მაგალითთან ერთად, დაემატება სილაბუსს. დაწესებულება რეკომენდაციას არ იზიარებს სასწავლო კურსთან „გენდერი და საერთაშორისო ურთიერთობები“ მიმართებით. რეკომენდაციის განვრცობილ

ტექსტში წარმოდგენილი არგუმენტაციის თანახმად, „სილაბუსში „გენდერი და საერთაშორისო ურთიერთობები“ შინაარსის დიდი ნაწილი ეთმობა გენდერის ზოგად მიმოხილვას და საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებს, გენდერული ხედვა კი მხოლოდ მე-7 კვირიდან იწყება. თემატიკის დაბალანსება სილაბუსს უფრო შესატყვისს გახდის სათაურთან“. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, აღნიშნული სასწავლო კურსის შემუშავებისას, ერთის მხრივ, მათ სურდათ წარმოეჩინათ გენდერის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში, ხოლო მეორეს მხრივ, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პროგრამის ფარგლებში გენდერი მხოლოდ ამ სასწავლო კურსის ფარგლებში შეისწავლება, მათ კურსის დასაწყისში მიმოიხილეს გენდერის თოერიები და მისი ზოგადი პოლიტიკური ასპექტები. მოცემულ სასწავლო კურსი, მანამდე, სანამ გენდერთან დაკავშირებული IR თეორიებსა და საკითხებს შეეხება, აძლევს სტუდენტს იმ საბაზისო ცოდნას გენდერთან მიმართებით, რაც დაეხმარება მას კურსის მეორე ნაწილში კრიტიკულად გაიაზროს გენდერი უკვე საერთაშორისო ურთიერთობებთან მიმართებით. კურსის სათაური, შესაბამისია მის შინაარსთან, რადგან მოცემული ფორმულირებით, ის არის „გენდერი და საერთაშორისო ურთიერთობები“, და არა, მაგალითად, „გენდერი საერთაშორისო ურთიერთობებში“, რა შემთხვევაშიც, შეიძლებოდა იმის მტკიცება, რომ სასწავლო კურსი სათაურის შესაბამისად, მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიასთან მიმართებით უნდა განიხილავდეს საკითხს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტების შემდეგი რეკომენდაცია ეხება სასწავლო კურსს „კავკასიის რეგიონი საერთაშორისო ურთიერთობებში“. რეკომენდაციაში ნათქვამია, რომ სილაბუსში „კავკასიის რეგიონი საერთაშორისო ურთიერთობებში“ კურსის თემატიკაში გვხვდება რუსეთ-უკრაინის ომიც, რაც შეუსაბამოა კურსის სათაურთან. აღნიშნულ კურსთან მიმართებით, მან აღნიშნა, რომ სააკრედიტაციო პაკეტში შეცდომით მოხვდა სილაბუსის აღნიშნული ვერსია. სილაბუსის განახლების პროცესში, ექპერტების მიერ მითითებული თემა სასწავლო კურსის შინაარსიდან ამოღებული იქნა, რასაც მსგავსი, ინგლისურენოვანი პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი ამავე კურსის სილაბუსიც ადასტურებს - სადაც ამოღებულია რუსეთ-უკრაინის ომი, როგორც სილაბუსის ინგლისურ ვერსიაში, ასევე მის ქართულ თარგმანში. თუმცა, ადამიანური შეცდომის გამო, ქართულენოვანი პროგრამის პაკეტში მოხვდა სილაბუსის არა საბოლოო ვერსია, არამედ ის ვერსია, რომელშიც აღნიშნული თემა ჯერ კიდევ იყო ჩარჩენილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი ექსპერტების მე-5 რეკომენდაციას, რომელიც ეხება სასწავლო კურსს, „დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა არ იზიარებენ. მისი თქმით, კურსი მთავარ აქცენტს აკეთებს დემოკრატიულ მმართველობაზე და მასში შემავალ ინსტიტუტებზე. განხილულია სამართლის სიტემები, რომლებიც მუშაობენ დემოკრატიულ სახელმწიფოში. ნაკლები აქცენტი კეთდება მართვის სხვა ფორმებზე, როგორიცაა, მონარქია, დიქტატურა, სოციალისტური სახელმწიფო, მუსლიმური სამართალი, რაც ასევე შედის სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლებში. სწორედ იმის გამო, რომ კურსის აქცენტი არის დემოკრატიულ მმართველობაზე და არა ზოგადად სახელმწიფო მმართველობაზე, კურსის სახელად შეირჩა დემოკრატიულლი მმართველობა და კანონის უზენაესობა. კანონის უზენაესობა, რომელიც დამახასიათებელია ძირითადად დემოკრატიული მმართველობის მქონე სახელმწიფოებისთვის, სასწავლო კურსის ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სასწავლო კურსის შინაარსი ახლოს არის სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის ტრადიციულ კურსთან, მისი აქცენტები საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის სტუდენტების ინტერესებსა და საჭიროებებზეა მორგებული და დემოკრატიულ მმართველობაზე, ინსტიტუტებსა და კანონის უზენაესობაზე კონცენტრირებით, მიზანშეწონილს ხდის არსებული დასახელებით მის განხორციელებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი შრომის ბაზრის კვლევა თარიღდება 2019 წლით, შესაბამისად მონაცემები ეყრდნობა 2017-2018 წლებს. რამდენად შესაძლებელია, დღეს 2019 წლის შრომის ბაზრის კვლევა იყოს რელევანტური. აქედან გამომდინარე, ის დაინტერესდა, დაწესებულება გეგმავს თუ არა სამომავლოდ შრომის ბაზრის კვლევის ჩატარებას.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ აღნიშნა, რომ სწავლის შედეგებში ძირითად მოცემულია ის თუ რა შეუძლია სტუდენტს და არ არის გამოყენებული ისეთი ზმნები, როგორიცაა მაგალითად აყალიბებს, აფასებს, ადარებს. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის დაზუსტებისკენ. მისი თქმით, ასევე გარკვეულ წილად ბუნდოვანია მიზნების ნუმერაცია.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშილმა აღნიშნა მე-10 სწავლის შედეგი, რომელიც ფომულირებულია შემდეგნაირად: ,,შეუძლია სასურველი მიმართულებით ცოდნის გაღრმავების დაგეგმვა, საჭირო წყაროების იდენტიფიცირება, ინფომაციის მოპოვება, იდენტიფირება, დამოუკიდებელი და ეფექტიანი დროის მართვა“. სასწავლო კურსებში, რომლებიც მოცემულ სწავლის შედეგზე გადის ასევე საინტერსოდ არის ფორმირებული სწავლის შედეგები. მოცემულ სწავლის შედეგზე გადის ,,აკადემიური წერის“ სასწავლო კურსი, ასევე მაგალითად ,,შესავალი პოლიტიკის მეცნიერებებში“ , ,,პროფესიული ინგლისური“, ,,საერთაშორისო პოლიტიკა“ და ა.შ. მოცემული სასწავლო კურსების სწავლის შედეგებისა და მეთოდების მიხედვით არ იკვეთება რომ კურსები აღნიშნულ სწავლის შედეგზე გადის. აქედან გამოდინარე, მან სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ აღნიშნული საკითხი.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ აღნიშნა, რომ აკადემიური წერის შეფასების ერთ-ერთი კომპონენტი არის წერითი ნაშრომი, რაც გულისხმობს პოლიტიკური დოკუმენტის შექმნას. ის დაინტერესდა, რამდენად მზად იქნება სტუდენტი აკადემიური წერის სწავლების დროს შექმნას პოლიტიკური დოკუმენტი. გარდა ამისა, აღსანიშნავია სასწავლო კურსი ,,შესავალი სოციოლოგიაში“, რომელიც ინგლისურენოვან პროგრამაში კონტენტზეა ორიენტირებული, ხოლო ქართულენოვან პროგრამაში აქცენტი გაკეთებულია მეთოდებზე. როგორც კვლევის მეთოდებში, ასევე თეზისის მომზადების კურსებში, შედეგები არის არის აქცენტირებული, ძრითადად მოცემულია პრეზენტაციები. ამ შემთხვევაში მცირე კვლევითი ნაშრომის მოთხოვნა იქნებოდა უმჯობესი. შესაძლებელია აღნიშნული კეთდება კიდეც, თუმცა პრეზენტაციების ქვეშ ეს არ ჩანს.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ პროგრამის პირველივე გვერდზე მოცემულია რომ კვალიფიკაციის კოდია 0312, შესაბამისად დააზუსტა აღნიშნული ტექნიკურ ხარვეზს ხომ არ წარმოადგენს, ვინაიდან თუ მისანიჭებელი კვალიფიკაციაა საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი, კვლაიფიკაციის კოდი უნდა იყოს 0312.1.2. , თუმცა ეს არსად არ არის აღნიშნული. გარდა ამისა, პროგრამის სტრუქტურიდან არ ჩანს უცხო ენის შეთავაზების პრინციპი. პროგრამაში მოცემულია, რომ შეთავაზებულია 30 კრედიტი. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა შედის თუ არა 30 კრედიტში დარგობრივი ინგლისურის 2 სასწავლო კურსი. მნიშვნელოვანია ასევე თუ რამდენი უცხო ენის სწავლის შესაძლებლობას იძლევა პროგრამა, ვინაიდან ყველა ენას არჩევითი სტატუსი აქვს და მხოლოდ დარგობრივი ინგლისური არის შეტანილი major საერთაშორისო ურთიერთობების ნაწილში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ პოზიც ია.

დაწესებულების წარმომადგენელმა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ბაზრის კვლევის ფარგლებში ინსტიტუცია ოთხ მონაცემს ეყრდნობა, აქედან ერთ-ერთია სწორედ საბჭოს წევრის მიერ აღნიშნული კვლევა. გარდა მოცემულისა, გამოყენებული იყო 2021 წლის დასაქმების მონაცემები, უნივერსიტეტის მიერ დამსაქმებლებთან გაკეთებული კვლევა და კურსდამთავრებულთა დეპარტამენტის მიერ განსაზღრული მონაცემები, რომლებოც ეხებოდა კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას. რაც შეეხება 2019 წლის მონაცემებს, აღნიშნული წარმოაჩენდა ძირითადად პანდემიამდე და ასევე პანდემიის პერიოდში არსებულ მდგომარეობასაც.

რაც შეეხება სწავლის შედგებისა და მიზნების საკითხს, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ფორმულირებები „შეუძლია განსაზღვროს“ და მაგალითად „განსაზღვრავს“ დაწესებულებისთვის იდენტური ცნებებია და არ ცვლის შინაარსს. რაც შეეხება მიზნების დანომვრას, მისი თქმით, განსაზღვრულია ერთი მიზანი, რომლის ფარგლებშიც წარმოჩენილია ორი კომპონენტი, რადგან გამარტივებულიყო ცხრილში შედეგებისა და მიზნების შესაბამისობის წარმოდგენა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა, სწავლის მე-10 შედეგთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მოცემულ შედგთან განსაზღვრულია ის სილაბუსები, რომლებიც შეიცავენ მოცულობით დავალებებს, რომლის ფარგლებშიც სტუდენტს სჭირდება დამოუკიდებლად შეასრულოს მცირე ზომის კვლევითი ნაშრომი. უმთავრესი რა თქმა უნდა არის საბაკალავრო ნაშრომი, თუმცა ყველა ის დავალება, რომლიც მოცემულია აღნიშნული კურსების სილაბუსებში, გამოუმუშავებს სტუდენტს იმას, რომ დაგეგმოს და განსაზღვროს თუ რა მიმართულებით სურს კველვის განხორციელება.

აკადემიურ წერასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, პოლიტური დოკუმენტის შექმნისას ძირითადი ყურადღება ექცევა თვითონ დოკუმენტის ფორმას, ვინაიდან თავად პოლიტიკური დოკუმნეტის შედგენა საკმაოდ რთულ დავალებას წარმოადგენს. შინაარსობრივად ეს არ იქნება ისეთი პოლიტიკური დოკუმენტი, რომელსაც შექმნის მე-3 ან მე-4 კურსის სტუდენტი, თუმცა აკადემიური წერის სასწავლო კურსის ფარგლებში განსაზღვრულია ისეთი ნაშრომებისა და დოკუმენტების შედგენა, რომელიც შემდგომში სჭირდება სტუდენტს, მაგრამ როგორც მან აღინიშნა, მთავარი აქცენტი კეთდება ფორმაზე და არა შინაარსზე.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშილმა დააზუსტა, რომ ამ ლოგიკით კველვით პროექტსა და უნარებზე აღნიშნული მიდგომა მისაღებია, თუმცა მე-7 სწავლის შედეგი, კერძოდ- ,,შეუძლია კვლევით მეთოდოლოგიისა და მეთოდების ინტერპრეტირება, მათი შერჩევა კვლევის პრინციპიდან გამომიდინარე, კვლევის დაგეგმვა, განხორციელება, ხელმძღვანელობის მითითების საფუძველზე“ და შემდგომ მე-8 სწავლის შედეგი- ,,აანალიზებს განხორციელებული კვლევის შედეგებს“ სწორედ მოცემულ ლოგიკაზე მიუთითებს, თუმცა მე-10 სწავლის შედეგი უფრო განსხვავებული შინაარსისაა, კერძოს არ ჩანს რომ საუბარია კვლევებზე, ძირითადად ორიენტაცია აღებულია სწავლა სწავლების მეთოდზე. თუმცა აქ დასაზუსტებელია ის, თუ რამდენად გადის მაგალითად ,,აკადემიური წერის“ სასწავო კურსი მე-10 სწავლის შედეგზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შეფასების კომპონენტის მიხედვით, სტუდენტს ყველგან სჭრდება დამოუკიდებელი მუშაობა, თუმცა გამოყოფილ სასწავლო კურსებში მეტი მოცულობით ხდება აღნიშნულის განხორციელება. სტუდენტებს მოცემული დავალების ფარგლებში შეუძლიათ თავად განსაზღვრონ საკვლევი თემა და დაგეგმონ პროცესი, აღნიშნული ეხება არა მარტო კვლევას, არამედ სხვა მოცულობით დავალებებსა და პრეზენტაციებს.

მნიშვნელოვანია, რომ პრაქტიკული კურსი ,,თეზისის წერა“ ზუსტად მოიაზრებს იმას, რომ სათაურიდან დაწყებული, პრეზენტაციით დამთავრებული, მთლიანად, ნაბიჯ-ნაბიჯ 15 ლექციის ფარგლებში ლექტორის დამხარებით სტუდენტები ქმნიან ნაშრომს.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ აღნიშნა, რომ თუ მსგავსად არის მოწესრიგებული საკითხი, აუცილებელია იგი მოცემული იყოს ასევე სილაბუსშიც და იქ არ იყოს მოცემული მხოლოდ შუალედური, ფინალური და პრეზენტაციები. სილაბუსის მიხედვით შეფასების თქვენ მიერ ნახსენები მექანიზმი არ ჩანს.
პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა ასევე უცხო ენებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში უცხო ენებისთვის გამოყოფილია 30 კრედიტი, რომელშიც არ შედის პროფესიული ინგლისურის ორი სასწავლო კურსი, რადგან, აღნიშნული განსაზღვრულია სავალდებულო სასწავლო კურსების სახით. სტუდენტებს სულ მცირე აქვთ ორი ენის შესწავლის უფლება, თუმცა სტუდენტმა აუცილებლად უნდა დააკმაყოფილოს ინგლისური ენის B2-2 ცოდნა, თუ სტუდენტი აბარემს მაგალითად B1 დონით იგი 30 კრედტიტის ფარგლებში გავა B2-2 საფეხურზე და შემდეგ სურვილისამებრ დაიწყებს სხვა უცხო ენის შესწავლას.
რაც შეეხება საკითხს, კვალფიკაციასთან დაკავშრებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აკრედიტაციისთვის პროგრამის შემოტანის დროისთვის ცენტრის მიერ განსაზღვრული იყო, რომ კვალიფიკაციის ნომერი უნდა ყოფილიყო ოთხნიშნა კოდი. შესაბამისად, მოცემულ პერიოდში ყველა პროგრამა მსგავსად არის წარმოდგენილი და ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ ყოფილა, მიუხედავად ამისა, ცვლილება სამომავლოდ აუცილებლად იქნება ასახული პროგრამაში.

საბჭო გადავიდა მეორე საკითხის - ,,საერთაშორისო ურთიერთობების" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხილვაზე

მეორესაკითხისზეპირიმოსმენა
ექსპერტებისპოზიციისგანხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ წინა პროგრამის მსგავსად, აქაც გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, ცოდნა და გაცნობიერების, უნარების, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობების ნაწილები ნათლად იყოს წარმოდგენილი პროგრამაში, რათა პროგრამის პროგრამის სწავლის შედეგები იყო მკაფიო და გაზომვადი.
2. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილი, რათა ის შეესაბამებოდეს მოვიდეს სავალდებულო სასწავლო კურსებში (დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა; საჯარო საერთშორისო სამართალი; შესავალი საგარეო პოლიტიკის ანალიზში; შესავალი საერთაშორისო უსაფრთხოებაში; კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში; საქართველოს საგარეო პოლიტიკა; თეზისის წერა (პრაქტიკული კურსი)) გაწერილ პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის სწავლის შედეგებთან;
3. რეკომენდირებულია, ცალკეულ სასწავლო კურსებს ჰქონდეთ დაშვების წინაპირობები, რათა ისინი იყვნენ არა მარტო ლოგიკურად და თანმიდევრულად დალაგებულნი, არამედ მან შექმნას ცოდნის უწყვეტობის და ათვისების საფუძვლიც. (მაგალითად, პოლიტიკური აზრის ისტორია უნდა იყოს პოლიტიკური იდეოლოგიების საფუძვლების წინაპირობა, ასევე სასწავლო კურსი მსოფლიო ისტორიის მიმოხილვა უნდა იყოს წინაპირობა სასწავლო კურსის საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია;
4. რეკომენდირებულია სასწავლო კურსების - დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა, შესავალო პოლიტიკურ მეცნიერებაში, საერთაშორისო ორგანიზაციები, საერთაშორისო უსაფრთხოებაში, შესავალი საგარეო პოლიტიკის ანალიზში, საქართველოს საგარეო პოლიტიკა, სწავლის შედეგების რეფორმულირება მათი შემდგომი გაზომვის მიზნით;

5. რეკომენდირებულია, სილაბუსების „შესავალი საგარეო პოლიტიკის ანალიზში“, „გენდერი და საერთაშორისო ურთიერთობები“, დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა, სილაბუსების სათაური და შინაარსი იყოს შესაბამისობაში;
6. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის - საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიზნის და სწავლის შედეგის ნაწილის რეფორმულირება რომ შეესაბამებოდეს სწავლების საბაკალავრო საფეხურს;
7. რეკომენდირებულია, სილაბუსებში „კავკასიის რეგიონი საერთაშორისო ურთიერთობებში“, „აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი მსოფლიო პოლიტიკაში“; „საერთაშორისო საჯარო სამართალი“, „შესავალი საერთაშორისო უსაფრთხოებაში“ ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა მითითებულ იქნას მითითების აკადემიური წესების დაცვით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პ ოზიცია.

დაწსებულების წარმომადგენელმა პირველ რეკმენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რეკომენდაციაში იკვეთება ექსპერტების სუბიექტური მოსაზრება, ვინაიდან, ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში წარმოდგენილი სამი შედეგის საფუძველზე დაჯგუფებას, აკრედიტაციის სტანდარტები ასეთ მოთხოვნას არ აყენებს - კერძოდ, არ ზღუდავს სწავლის შედეგების ფორმულირებისას ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი და სწავლის შედეგების კლასიფიკატორით განსაზღვრული ცოდნისა და კომპეტენციების კომბინირებას და შესაბამისად დაწესებულება ამას ხარვეზად არ მიიჩნევს.
მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის სტანდარტები არ მოითხოვს პროგრამაში სრულად აისახოს და ნაჩვენები იყოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგების განზოგადებული ნაწილი. აკრედიტაციის სტანდარტები მოითხოვს, რომ სწავლის შედეგები მოიცავდეს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას.

სტანდარტ 2.3 - თან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სიღრმისეული ცოდნა არ ნიშნავს ღრმა და სისტემურ ცოდნას და უნარების ფორმულირების თვალსაზრისით ის ნამდვილად შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ქართული პროგრამის მსგავად, ინლისურენოვან პროგრამაზეც იდენტური შრომის ბაზრის კვლევაა წარმოდგენილი, შესაბამისად, მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის დაზუსტებისკენ. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ინგლისურენოვან პროგრამაში ,,ეკონომიკის პრონციპების“ სილაბუსი და ასევე ძირითადი ლიტერატურა განსხავდება ქართულენოვან პროგრამაში აღნიშნული საგნის ლიტერატურისგან, აქედან გამომდინარე საბჭოს წევრა მოუწოდა ინსტიტუციას საკითხის განმარტებისკენ.
დაწესებულების წარმომადგენელმა ეკონომიკის საფუძლებთან დაკავშირებთ განმარტა, რომ იქ სადაც შესაძლებელია ქართულენოვანი ლიტერატურის გამოყენება მითითებული აქვთ სილაბუსებში, თუ თვითონ ლექტორს მოწონებული აქვს ლიტერატურა და სწავლის შედეგებზე გასვლაც უზრუნველყოფილია, ეს მთლიანად ლექტორის აკადემიური თავისუფლების ნაწილია.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ აღნიშნა, რომ სტუდენტებისთვის უფრო გასაგები რომ ყოფილიყო პროგრამის მიზნები, ხომ არ ჯობდა ამ პროგრამაზეც ისე დაჯგუფებულიყო მიზნები, როგორც სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში. მისი თქმით, ასევე, ხომ არ ჯობდა

მიზნებში ტერმინი, „დარგის“ ნაცვლად, გამოგვეყენებინათ „სფერო“ რადგან კლასიფიკატორში გვაქვს ტერმინი „სფერო“
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში მათ აქვთ პროგრამები, რომელთა მიზნების ფორმულირება ხდება ერთო სახითაც და მეორე სახითაც ეს არის პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული მხარეების პრეროგატივა და აკადემიური თავისუფლების საკითხი.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ თეზისის მომზადების პრაქტიკულ კურსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შეფასების რუბრიკაში მოცემულია, რომ შუალედურ გამოცდაზე დაწესებულება ითხოვს საბაკალავრო ნაშრომის დრაფტს. ბუნებრივია, რომ თეზისის წერა უნდა ემსახურებოდეს საბაკალავრო ნაშრომს, თუმცა მოთხოვნა არის 40 გვერდიან ნაშრომზე. გარდა ამისა, ფინალური გამოცდა მოიცავს დახურულ კითხვებსა და ესეს, შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა, რამდენად ლოგიკური იყო ბოლო სემესტრებში მყოფი სტუდენტისთვის ესე. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა ყურადღება გაამახვილა კვლევის მეთოდების სასწავლო კურსზე, მისი თქმით, ზოგადად კურსი საკმაოდ გამართული და კარგია, თუმცა საერთაშორისო ურთიერთობის სპეციფიკა ამ სასწავლო კურსში არ ჩანს, რადგან ისწავლება დაკვირვება, ექსპერიმენტი და მასობრივ გამოკითხვა, მაგრამ აღნიშნული მორგებული არ არს კონკრეტულ დარგზე.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშილმა ყურადღება გაამახვილა მე-10 სწავლის შედეგზე, რომელიც ფომულირებულია შემდეგნაირად, ,,შეუძლია სასურველი მიმართულების ცოდნის გაღრმავების დაგეგმვა, საჭირო წყაროების იდენტიფიცირება, ინფომაციის მოპოვება, იდენტიფირება, დამოუკიდებელი და ეფექტიანი დროის მართვა“. მისი თქმით, სასწავლო კურსებში, რომლებიც მოცემულ სასწავლო შედეგზე გადის ასევე საინტერსოდ არის ფორმირებული სწავლის შედეგები. მოცემულ სწავლის შედეგზე გადის ,,აკადემიური წერის“ სასწავლო კურის, ასევე მაგალითად ,,შესავალი პოლიტიკის მეცნიერებებში“, ,,პროფესიული ინგლისური“, ,,საერთაშორისო პოლიტიკა“ და ა.შ. მოცემული სასწავლო კურსების სწავლის შედეგებისა და მეთოდების მიხედვით არ იკვეთება რომ კურსები აღნიშნულ სწავლის შედეგზე გადის. აქედან გამოდინარე, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის დაზუსტებისკენ. მან ასევე აღნიშნა, რომ რიგ სილაბუსებში რეკომენდირებულ ლიტერატურად განსაზღვრულია ქართულენოვანი სახელმძღვანელოები და მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის განმარტებისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პ ოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა თეზისის წერის კურსთან დაკავშრებით განმარტა, რომ კურსის მიზანია, სტუდენტს აღარ გაუჭირდეს საბაკალავრო ნაშრომის შექმნა და შესაბამისად სტუდენტები კურსის ფარგლებში ქმნიან საბაკალავრო ნაშრომის იდენტურ ნაშრომს, მსგავსი სტრუქტურით, რომ ნაშრომის წერის პროცესში სტუდენტებმა ყველა აუცილებელი დეტალი გარანტირებულად იცოდნენ. სწორედ აქედან გამომდინარეობს ის, რომ კურსის მოთხოვნები ძალიან ჰგავს საბაკალავრო ნაშრომის მოთხოვნებს.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა, მე-10 სწავლის შედეგთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მოცემულ შედგთან განსაზღვრულია ის სილაბუსები, რომლებიც შეიცავენ მოცულობით დავალებებს, რომლის ფარგლებშიც სტუდენტს სჭირდება დამოუკიდებლად შეასრულოს მცირე ზომის კვლევითი ნაშრომი. უმთავრესი რა თქმა უნდა არის საბაკალავრო ნაშრომი, თუმცა ყველა ის დავალება, რომელიც მოცემულია აღნიშნული კურსების სილაბუსებში, გამოუმუშავებს სტუდენტს იმას, რომ დაგეგმოს და განსაზღვროს თუ რა მიმართულებით სურს კველვის განხორციელება.

ლიტერატურასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სასწავლო კურსების სწავლის შედეგებზე გადის ძირითადი ლიტერატურის მეშვეობით. ქართულენოვანი ლიტერატურა კი მხოლოდ ორ სილაბუსში არის მითითებულ დამატებითი სახელმძღვანელოების სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს და დაწესებულებას გადასულიყვნენ მესამე საკითხის - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების" სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვაზე

მესამესაკითხისზეპირიმოსმენა
ექსპერტებისპოზიციისგანხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციე ბი:

1. რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში ცოდნა და გაცნობიერების ნაწილის გამდიდრება და სასწავლო კურსებში შესაბამის ნაწილთან მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა
2. რეკომენდირებულია, პროგრამის მესამე სწავლის შედეგის - ,,განსაზღვრავს თანამედროვე მსოფლიო წესრიგისა და საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც დისციპლინის ჩამოყალიბების თვალსაზრისით მნიშვნელოვან ისტორიულ პროცესებს", შინაარსობრივი რეფორმულირება მისი შემდგომი მკაფიოობისა და გაზომვის უზრუნველსაყოფად.
3. რეკომენდირებულია სასწავლო კურსი - გადაწყვეტილებების მიღება საერთაშორისო ურთიერთობებში, გადავიდეს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში რომ სასწავლო კურსის სწავლის შედეგები - პრაქტიკული უნარების განვითარება რეალურად იქნეს მიღწეულ სტუდენტისთვის.
4. რეკომენდირებულია სასწავლო კურსი International Security გახდეს სავალდებულო ხასიათის და გათვალისწინებული იქნეს წინაპირობად სასწავლო კურსისთვის War and Peace in International Relations;
5. რეკომენდირებულია სასწავლო კურსში Comparative Governance and Politics შეიცვალოს თეორიისა და შემთხვევის ანალიზის ნაწილებს შორის არსებული თანაფარდობა; თეორიული ნაწილი შესაბამისობაში მოვიდეს შედარებითი პოლიტიკის კონცეფიასთან, სილაბუსის სწავლის შედეგებთან და სამაგისტრო სწავლების საფეხურთან;
6. რეკომენდირებულია სასწავლო კურსში Contemporary International Law შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან და სწავლების საფეხურთან, მათ შორის სასწავლო ლიტერატურის გამდიდრების გზით;
7. რეკომენდირებულია სასწავლო კურსში Decision-Making in International Relations გამდიდრეს სავალდებულო სასწავლო ლიტერატურა, მათ შორის დამატებითი საკითხავი მასალის სავალდებულო ნაწილში გადმოტანით ან/და რელევანტური სამეცნიერო ლიტერატურის მითითებით;
8. რეკომენდირებულია სასწავლო კურსში International Security სილაბუსი მოიცავდეს ისეთ საკითხებს როგორიცაა: საერთაშორისო უსაფრთხოების, როგორც მულტიდისციპლინური დარგის შესავალი და უსაფრთხოების არასამხედრო ასპექტები;
9. რეკომენდირებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში - ,,სოციალური მეცნიერებების ფილოსოფია"- ,,საერთაშორისო ურთიერთობების თეორია", ,,საერთაშორისო ურთიერთობების ევოლუციის ანალიზი", ,,მსოფლიო პოლიტიკა: პროცესები და ტენდენციები", ,,საქართველოს საგარეო პოლიტიკის ანალიზი" - სწავლის შედეგების (ცოდა და გაცნობიერების ნაწილიში) რეფორმულირება მათი მკაფიოობისა და გაზომვადობის უზრუნველსაყოფად.

ექსპერტის თქმით, მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინება დაწესებულებას შეუძლია 6 თვიდან 1 წლამდე შუალედში. პროგრამის სწავლის შედეგები მიღწევადია, ექსპერტები პრობლემას ხედავენ უფრო სწავლის შედეგების გაზომვადობასთან დაკავშირებით

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულების მოსაზრებით და საერთაშორისო გამოცდილების გაანალიზებით, სწავლის შედგები ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით შეესაბამება კოგნიტური სფეროს მეოთხე დონეს. მისი თქმით ექსპერტების მოსაზრება ემყარება მხოლოდ იმ საკვანძო სიტყვებს, რომლებიც გამოყენებულია სწავლის შედეგების ფორმულირებისას.
მეცხრე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომარ არსებობს ბლუმის ზმნების სწავლის შედეგების მიხედვით შემუშავებული ქართულენოვანი ჩამონათვალის დამტკიცებული ვერსია, რომელიც ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს სწავლის შედეგების ფორმულირებაში ამა თუ იმ ზმნის გამოყენების სისწორეს. ასევე, კრიტიკული ანალიზის კომპეტენციაზე საუბარია თავად ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დანართ 1-ში. კერძოდ, სამაგისტრო საფეხურის ცოდნა და გაცნობიერება შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: „სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ღრმა, სისტემური ცოდნა და მისი კრიტიკული გააზრება, რომელიც მოიცავს სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ზოგიერთ უახლეს მიღწევებს და ქმნის საფუძველს ინოვაციებისათვის, ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისათვის.“ დაწესებულების თვალსაზრისით, კრიტიკული ანალიზი წარმოადგენს კრიტიკული გააზრების სინონიმს. შესაბამისად, ინსტიტუცია არ მიიჩნევს რომ აღნიშნული წარმოადგენს ხარვეზს და შეუსაბამოა ცოდნისა და გაცნობიერების შედეგთან. შესაბამისად, დაწესებულება მოცემულ რეკომენდაციას არ იზიარებს.

მეორე რეომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის მესამე სწავლის შედეგის ტექსტი, რომლის თანახმადაც, კურსდამთავრებული „განსაზღვრავს თანამედროვე მსოფლიო წესრიგისა და საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც დისციპლინის ჩამოყალიბების თვალსაზრისით მნიშვნელოვან ისტორიულ პროცესებს”, მომდინარეობს სასწავლო კურსებიდან: (1) საერთაშორისო ურთიერთობების ევოლუციის ანალიზი და (2) მსოფლიო პოლიტიკა - პროცესები და ტენდენციები. უკანასკნელ კურსში, სხვა საკითხებთან ერთად, განიხილება საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე პროცესებისა და გამოწვევების ისტორიული კონტექსტი, ხოლო პირველ კურსში, სპეციფიურად განიხილება ის ისტორიული მოვლენები, რომლებმაც საფუძველი დაუდო პოლიტიკური თეორიების განვითარებას, განსაკუთრებით, საერთაშორისო ურთიერთბების თეორიის თვალსაზრისით, ასევე ის მოვლენები, რომლებმაც საფუძველი დაუდო რომელიმე ისტორიულ თუ თანამედროვე პოლიტიკურ წესრიგს. შესაბამისად, მისი თქმით მესამე სწავლის შედეგის ფორმულირება, სადაც ნათქვამია, რომ კურსდამთავრებულს შეუძლია შესაბამისი მნიშვნელობის თვალსაზრისით ისტორიული მოვლენების განსაზღვრა, მართებულია და მკაფიოდ აღწერს სწავლის შედეგად შეძენილ კომპეტენციას.

მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ,,გადაწყვეტილების მიღების“ სასწავლო კურსი განსაზღვრულია არჩევით საგნად, რომლის ფარგლებშიც ისწავლება თუ როგორ იღებდნენ კრიტიკულ სიტუაციაში გადაწყვეტილებას ლიდერები. მაგალითად როგორიც იყო კუბის კრიზისი. კურსის ფარგლებში განხილულია სხვადასხვა მოდელები. სტუდენტები შეისწავლიან არა მარტო გაადწყვეტიელბის მიღების პროცესს, არამედ მის ანალიზს, რაც თავისთვაად არის საკმაოდ დეტალიზებული. აქედან გამომდინარე, არ არსებობს აღნიშნული კურსების სავალდებულო კომპონენტში გადატანის

აუცილებლობა თავისი შინაარსიდან გამომდინარე. აღსანიშნავია ასევე, რომ კურსის განმავლობაში სტუდენტებს უწევთ სამი პრაქტიკული დავალების შესრულება, რაც მოიცავს სცენარებს, რაც საკმაოდ შრომატევადია და მოითხოვს დიდ დროს. აქედან გამომდინარე, დროის ათვისებასთან მიმართებით ხარვეზი არ არსებობს. გარდა ამისა, სტუდენტებს მოსამზადებელი აქვთ პრეზენტაცია, განსაზღვრული არის ასევე ანალიტიკური ნაშრომი. ასევე, მოცემული კურსი არის ინოვაციური.

მეოთხე, მეშვიდე და მერვე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ომისა და მშვიდობის კურსი არის კომპლექსური ხასიათის. შესაბამისად უმჯობესია მოცემული კურსი დარჩეს ძირითად სასწავლო კურსად, ვინაიდან მოიცავს როგორც ომისა და მშვიდობის თეორიულ ნაწილს, ასევე საერთაშორისო კომფლიქტების ზოგად მონახაზს, რაც ზოგად საფუძველს უქმნის კურსს და აძლევს სტუდენტებს საკითხების ღრმად გაანალიზების შესაძლებლობას სისტემური სახით. ასევე კურსის სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული მასალის რაოდენობა განპირობებულია მისი სპეციფიკით. კერძოდ, კურსის განმავლობაში სტუდენტებს დასამუშავებელი ექნებათ 3 პრაქტიკული სცენარი. სცენარის დამუშავებისას სტუდენტებმა უნდა გაანალიზონ ვითარება, გააკეთონ შესაბამისი დასკვნები და შეიმუშავონ პრობლემის გადაჭრის გზები, რაც საკმაოდ შრომატევადი პროცესია და მოითხოვს დიდ დროს. სტუდენტებს პრაქტიკული სამუშაოების შესრულებისას ასევე უწევთ ჯგუფებში მუშაობა, გონებრივი იერიშის განხორციელება, მსჯელობა და საერთო აზრის ფორმულირება. პრაქტიკული სამუშაობის გარდა სტუდენტებს კურსის განმავლობაში უხდებათ 1 პრეზენტაციის მომზადება, დებატებში ჩართვა და ერთი პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება. შესაბამისად, კურსის კრედიტული მოცულობით მოაზრებული დრო სრულად იქნება ათვიებული სტუდენტების მიერ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი ეთანხმებიან მეხუთე რეკომენდაციას. ასევე, ინსტიტიცია იზიარებს მე-6 რეკომენდაციას საერთაშორისო სამართლის კურსთან მიმართებით. როგორც მან აღნიშნა, მათ ერთ მხრივ, მიაჩნიათ, რომ ექსპერტების მოსაზრებისგან განსხვავებით, სასწავლო კურსის შედეგების ფორმულირება ნამდვილად შეესაბამება საფეხურის მოთხოვნებს. კერძოდ, კურსის შედეგებში საუბარია ისეთ ცოდნასა და კომპეტენციებზე, როგორებიცაა: დარგთან დაკავშირებული საკითხების, თეორიული და პრაქტიკული ასპექტების კრიტიკული ანალიზი, გამოწვევებთან გამკლავების ინოვაციური მეთოდების აღმოჩენა, კვლევის დამოუკიდებლად ჩატარება და სხვა. ასევე მან აღნიშნა,რომ დაწესებულება ექსპერტების რეკომენდაციის გაზიარების საფუძველზე, გაამდიდრებს კურსის ფარგლებში წარმოდგენილ სასწავლო ლიტერატურას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ საბაკლავრო პროგრამების მსგავსად, სამაგისტრო პროგრამაზეც იდენტური შრომის ბაზრის კვლევა არის წარმოდგენილი, შესაბამისად საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის დაზუსტებისკენ. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში პრაქტიკულად უგლებელყოფილია ეკონომიკური ასპექტები. წარმოდგენილი არის ერთი არჩევითი საგანი- ,,საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა“. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მოცემული საკითხის დარეგულირება, ვინაიდან საერთაშრისო ურთიერთობების ფარგლებში ვექტორი გადის ეკონომიკაზე.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ თვისობრივი კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ერთ-ერთ კვირაში განსაზღვრულია რაოდენობრივი კვლევის ანალიზი, რომელსაც ეძღვნება ცალკე კურსი, შესაბამისად, გაუგებარია თუ რატომ მოხდა საკითხის აღნიშნულ სილაბუსში გათვალისწინება. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოები არის

შედარებით ძველი, რაც განსაკუთრებით გასაკვირია ინგლისურენოვანი პროგრამის ფარგლებში, ვინაიდან ინგლისურენოვანი ლიტერატურა მუდმივად განიცდის განახლებას.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ მოცემულ პროგრამაში განსაზღვრულია 8 სავალდებულო სასწავლო კურსი, თუმცა სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში, ოთხი საგანია გამოყოფილი, რომლებიც უშუალოდ სწავლის შედეგების ფორმირებაში მონაწილეობენ. მნიშვნელოვანია, რომ მოცემულ დოკუმენტში გაწერილი იყოს ის სასწავლო კურსები, რომლებიც განმტკიცებაზე გადის, თუმცა ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გამტკიცებაზე მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომი გადის. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრმა მოუწოდა ინსტიტუციას საკითხის დაზუსტებისკენ. გარდა ამისა, საბჭოს წევრი დაინტერსდა თუ რომელ საგანშია ინტეგრირებული სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისთვის აუცილებელი უნარების გამომუშავების საკითხები, გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის მიხედვით არ არის გათვალისწინებული აკადემიური წერა.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ სასწავო პროგრამაში, სწავლის შედეგები ცალ-ცალკე არ არის განსაზღვრული, თუმცა სილაბუსების ფარგლებში ისინი არეულია. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ, ,,საერთაშრისო ურთიერთობების თეორია“ გადის ყველა სწავლის შედეგზე, თუმცა სწავლის მეთოდები და შეფასებები არ იძლევა შესაძლებლობას, რომ მოცემული სასწავლო კურსი გავიდეს ცხრავე სწავლის შედეგზე. გარდა ამისა, თითოეული ლექციის ბოლოს არ არის მითითებული თუ შეფასებისა და გამოკითხვის რა საშუალებები არის გამოყენებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ბაზრის კვლევის ფარგლებში ინსტიტუცია ოთხ მონაცემს ეყრდნობა. გამოყენებული იყო 2021 წლის დასაქმების მონაცემები, უნივერსიტეტის მიერ დამსაქმებლებთან გაკეთებული კვლევა და კურსდამთავრებულთა დეპარტამენტის მიერ განსაზღრული მონაცემები, რომლებოც ეხებოდა კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას. მიუხედავად იმისა, რომ კომპონენტები საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისთვის ერთი და იგივეა, შინაარსობრივად ისინი განსხვავდებიან.

რაც შეეხება ეკონომიკის საკითხებს, დაწესებულება მიიჩნევს, რომ სუბდისციპლინები უნდა იყოს განსაზღვრული არჩევით სასწავლო კურსებად ბენჩმარკინგის შესაბამისად, ხოლო სავალდებულო კომპონენტები უნდა იყოს დარგის ისტორიულ სამართლებრივი საფუძლები.

მნიშვნელოვანია ასევე კვლევის მეთოდების სასწავლო კურსის საკითხი, კერძოდ დაწესებულებამ აღნიშნა, რომ აუცილებლად მოხდება ლიტერატურის განახლება, ხოლო რაც შეეხება რაოდენობრივი კვლევის საკითხებს, მოცემული განპირობებულია აუცილებლობიდან გამომდინარე.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა რომ პროგრამის არჩევითი კომპონენტი შედგება 32 კრედიტისგან, რაც ორი წლის განმავლობაში სტუდენტებს ოთხი არჩევითი სასწავლო კურსის შესწავლის თავისუფლებას უტოვებს. პროგრამა სავალდებულო სასწავლო კურსების სახით მეტწილად საერთაშორისო ურთიერთობების თეორიისა და დარგობრივი კვლევის სწავლებაზეა ორიენტირებული და პროგრამაში მოცემული შვიდი სავალდებულო სასწავლო კურსიდან, ოთხი კონცენტრირებულია მხოლოდ აღნიშნულ საკითხებზე, დარჩენილი სამი კი მოიცავს დარგის ისტორიის, ომისა და მშვიდობის შესაძლებლობებისა და უსაფრთხოების ძირითადი საკითხების, ასევე თანამედროვე მსოფლიო წესრიგის, სფეროს უმნიშვნელოვანესი

მოვლენებისა და გამოწვევების თეორიულ ჭრილში წარმართულ კრიტიკულ ანალიზს. რაც შეეხება სწავლის შედეგების გაზომვას, როცა კვლევას ეხება საქმე სამაგისტრო ნაშრომი თავისუფლად იძლევა შედეგებზე გასვლის გაზომვის შესაძლებლობას.
დაწესებულების წარმომადგენლი თქმით, მნიშვნელოვანია ასევე, რომ აკადემიური წერა უნივერსიტეტების უმრავლესობაში ისწავლება საბაკალავრო საფეხურზე, ამ საბაზისო ცოდნის გარეშე მაგისტრატურაზე პრაქტიკულად არავინ არ აბარებს, თუმცა პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია სამი კვლევითი კურსი, სადაც აკადემიური წერის საკითხები აქცენტირებულად არის მოცემული. გარდა ამისა ყველა სასწავლო კურსში მოცემულია მცირე კვლევითი კომპონენტი, სადაც სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომის დაწერამდე ევალებათ მცირე კვლევითი ნაშრომის მომზადება.
აღსანიშნავია ასევე, რომ უნივერსიტეტში დანერგილი მეთოდის შესაბამისად, ლექცია არ გულისხმობს მხოლოდ პასიურ მოსმენას, ლექციები ძირითადად არის ინტერაქტიული.

სხდომაზეგამოცხადდასათათბიროშესვენება
დაწყებისდრო: 17:49
დასრულებისდრო: 19:25

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
პირველი საკითხი: *შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლოპროგრამა*

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ პირველი პირველი სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:
1. რეკომენდირებულია პროგრამის მიზნების მკაფიო ფორმულირება საკვალიფიკაციო ჩარჩოს და სწავლის სფეროს შესაბამისად;
2. რეკომენდირებულია, ცოდნა და გაცნობიერების, უნარების, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობების ნაწილები ნათლად იყოს წარმოდგენილი პროგრამაში, რათა პროგრამის სწავლის შედეგები იყო მკაფიო და გაზომვადი;
3. რეკომენდირებულია, ცალკეულ სასწავლო კურსებს ჰქონდეთ დაშვების წინაპირობები, რათა ისინი იყვნენ არა მარტო ლოგიკურად და თანმიდევრულად დალაგებულნი, არამედ მან შექმნას სტუდენტისთვის ცოდნის უწყვეტობის და ათვისების საფუძვლიც. (მაგალითად, პოლიტიკური აზრის ისტორია უნდა იყოს პოლიტიკური იდეოლოგიების საფუძვლების წინაპირობა, ასევე სასწავლო კურსი მსოფლიო ისტორიის მიმოხილვა უნდა იყოს წინაპირობა სასწავლო კურსის საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია;
4. რეკომენდირებულია სასწავლო კურსების - პოლიტიკური აზრის ისტორია, საერთაშორისო პოლიტიკა, დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა, შესავალო პოლიტიკურ მეცნიერებაში, საერთაშორისო ორგანიზაციები, საერთაშორისო უსაფრთხოებაში, შესავალი საგარეო პოლიტიკის ანალიზში, საქართველოს საგარეო პოლიტიკა, სწავლის შედეგების რეფორმულირება მათი შემდგომი გაზომვის მიზნით;

5. რეკომენდირებულია, სილაბუსების „შესავალი საგარეო პოლიტიკის ანალიზში“,„კავკასიის რეგიონი საერთაშორისო ურთიერთობებში“, „დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა“ სილაბუსების სათაური და შინაარსი იყოს შესაბამისობაში;
6. რეკომენდირებულია რიგ სასწავლო კურსებში სწავლება-სწავლის მეთოდების გადახედვა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად;
7. რეკომენდირებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.

რჩევები

1. სასურველია პროგრამის რიგი სწავლის შედეგები წარმოდგენილი იყოს აქტიური ზმნებით;
2. სასურველია შრომის ბაზრის კვლევის განახლება თანამედროვე ტენდენციების გამოსავლენად;
3. სასურველია სილაბუსებში „კავკასიის რეგიონი საერთაშორისო ურთიერთობებში“, „აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი მსოფლიო პოლიტიკაში“; „საერთაშორისო საჯარო სამართალი“, „შესავალი საერთაშორისო უსაფრთხოებაში“ ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა მითითებულ იქნას მითითების აკადემიური წესების დაცვით;
4. სასურველია სასწავლო კურსში „თეზისი წერა-პარქტიკული კურსი“ გადახედილ იქნას შუალედური გამოცდის შეფასებითი დავალების მოცულობა;
5. სილაბუსი „საქართველოს ისტორია“ მოიცავს საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან გეორგიევსკის ტრაქტატამდე. სასურველია, სასწავლო კურსი მოიცავდეს საქართველოს ისტორიის ახალ და უახლესს პერიოდსაც ან საქართველოს ისტორიის ახალი და უახლესი პერიოდი დაემატოს ახალი არჩევითი სასწავლო კურსის სახით;
6. ზოგიერთ სილაბუსში ძირითად ლიტერატურად გამოყენებულია მხოლოდ ერთი რიდერი ან კონსპექტი. მაგ. სილაბუსებში: „აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი მსოფლიო პოლიტიკაში“, „ლათინური ამერიკა მსოფლიო პოლიტიკაში“. სასურველია, გამრავალფეროვნდეს სილაბუსების „აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი მსოფლიო პოლიტიკაში“, „ლათინური ამერიკა მსოფლიო პოლიტიკაში“ ძირითადი ლიტერატურა;
7. უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტთა პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, გაგრძელდეს საქართველოში მოქმედ კვლევით და ანალიტიკურ ცენტრებთან პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავების პროცესები, რათა სტუდენტებს შეექმნათ საკუთარი ცოდნის გაფართოებისა და პრაქტიკაში გამოყენების კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა;
8. სასურველია სამომავლოდ პროგრამის ხელმძღვანელობამ და შზსუ-ის შესაბამისმა სამსახურებმა უზრუნველყონ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და პროექტებში კიდევ უფრო მეტი სტუდენტის ჩართულობა, რაც თავის მხრივ სამომავლოდ უზრუნველყოფს პროგრამის საერთაშორისო ურთიერთობების კვლევითი და პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებას;
9. სასურველია, პროგრამის განვითარებისათვის უცხოელი ექსპერტებისგან იყოს მიღებული გარკვეული შეფასებები, მით უფრო რომ უნივერსიტეტს აქვს საკმაოდ მრავალფეროვანი საერთაშორისო კონტაქტები და მემორანდუმებით განსაზღვრული ურთიერთობები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზედააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

მეორე საკითხი: *შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა*

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ პირველი სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:
1. რეკომენდირებულია პროგრამის მიზნების მკაფიო ფორმულირება საკვალიფიკაციო ჩარჩოს და სწავლის სფეროს შესაბამისად;
2. რეკომენდებულია, ცოდნა და გაცნობიერების, უნარების, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობების ნაწილები ნათლად იყოს წარმოდგენილი პროგრამაში, რათა პროგრამის პროგრამის სწავლის შედეგები იყო მკაფიო და გაზომვადი;
3. რეკომენდირებულია, ცალკეულ სასწავლო კურსებს ჰქონდეთ დაშვების წინაპირობები, რათა ისინი იყვნენ არა მარტო ლოგიკურად და თანმიდევრულად დალაგებულნი, არამედ მან შექმნას სტუდენტისთვის ცოდნის უწყვეტობის და ათვისების საფუძვლიც. (მაგალითად, პოლიტიკური აზრის ისტორია უნდა იყოს პოლიტიკური იდეოლოგიების საფუძვლების წინაპირობა, ასევე სასწავლო კურსი მსოფლიო ისტორიის მიმოხილვა უნდა იყოს წინაპირობა სასწავლო კურსის საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია;
4. რეკომენდირებულია სასწავლო კურსების - დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა, შესავალო პოლიტიკურ მეცნიერებაში, საერთაშორისო ორგანიზაციები, საერთაშორისო უსაფრთხოებაში, შესავალი საგარეო პოლიტიკის ანალიზში, საქართველოს საგარეო პოლიტიკა, სწავლის შედეგების რეფორმულირება მათი შემდგომი გაზომვის მიზნით;
5. რეკომენდირებულია, სილაბუსების „შესავალი საგარეო პოლიტიკის ანალიზში“, დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა, სილაბუსების სათაური და შინაარსი იყოს შესაბამისობაში;

6. რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსებში სწავლება-სწავლის მეთოდების გადახედვა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად;
7. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.

რჩევები

1. სასურველია პროგრამის რიგი სწავლის შედეგები წარმოდგენილი იყოს აქტიური ზმნებით;
2. სასურველია შრომის ბაზრის კვლევის განახლება თანამედროვე ტენდენციების გამოსავლენად;
3. რეკომენდირებულია, სილაბუსებში „კავკასიის რეგიონი საერთაშორისო ურთიერთობებში“, „აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი მსოფლიო პოლიტიკაში“; „საერთაშორისო საჯარო სამართალი“, „შესავალი საერთაშორისო უსაფრთხოებაში“ ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა მითითებულ იქნას მითითების აკადემიური წესების დაცვით;
4. სილაბუსის „ლათინური ამერიკა მსოფლიო პოლიტიკაში“ ძირითად ლიტერატურაში მითითებულია მხოლოდ ლექტორის რიდერი. სასურველია, გამრავალფეროვნდეს სილაბუსის „ლათინური ამერიკა მსოფლიო პოლიტიკაში“ ძირითადი ლიტერატურა.
5. სასურველია სასწავლო კურსი „თეზისი წერა-პარქტიკული კურსი“ გადახედილ იქნას შუალედური გამოცდის შეფასებითი დავალების მოცულობა;
6. სასურველია რიგ სასწავლო კურსებში რეკომენდირებული დამატებითი ლიტერატურა გამდიდრდეს ინგლისურენოვანი ლიტერატურით;
7. სასურველია ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტთათვის მოცემული პროგრამის ფარგლებში სალექციო კურსის/ვორკშოპის ჩასატარებლად დარგის უცხოენოვანი სპეციალისტი/ექსპერტების რეგულარულად მოწვევა (პანდემიიდან გამომდინარე უკვე დისტანციურად), რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს ეზიარონ საერთაშორისო პრაქტიკას და გაეცნონ დარგში მიმდინარე სამეცნიერო სიახლეებს;
8. სასურველია, პროგრამის განვითარებისათვის უცხოელი ექსპერტებისგან იყოს მიღებული გარკვეული შეფასებები, მით უფრო რომ უნივერსიტეტს აქვს საკმაოდ მრავალფეროვანი საერთაშორისო კონტაქტები და მემორანდუმებით განსაზღვრული ურთირთობები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზედააყენაშპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“

ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

მესამე საკითხი: *შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლოპროგრამა*

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, თუმცა დაამატა რამდენიმე რეკომენდაცია.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში ცოდნა და გაცნობიერების ნაწილის გამდიდრება და სასწავლო კურსებში შესაბამის ნაწილთან მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა;
2. რეკომენდირებულია, პროგრამის მესამე სწავლის შედეგის შინაარსობრივი რეფორმულირება მისი შემდგომი მკაფიოობისა და გაზომვის უზრუნველსაყოფად;
3. გადაიხედოს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტი სწავლის შედეგებეზე გამსვლელი მე-3 დონის (განმტკიცება) სავალდებულო სასწავლო კურსების ზუსტად დადგენისა და გაზომვადობის მიზნით;
4. რეკომენდირებულია სასწავლო კურსში Comparative Governance and Politics შეიცვალოს თეორიისა და შემთხვევის ანალიზის ნაწილებს შორის არსებული თანაფარდობა; თეორიული ნაწილი შესაბამისობაში მოვიდეს შედარებითი პოლიტიკის კონცეფიასთან, სილაბუსის სწავლის შედეგებთან და სამაგისტრო სწავლების საფეხურთან;
5. რეკომენდირებულია სასწავლო კურსში Contemporary International Law შინაარსი და სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან, გამდიდრდეს სასწავლო ლიტერატურა;
6. რეკომენდირებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში - ,,სოციალური მეცნიერებების ფილოსოფია"- ,,საერთაშორისო ურთიერთობების თეორია", ,,საერთაშორისო ურთიერთობების ევოლუციის ანალიზი", ,,მსოფლიო პოლიტიკა: პროცესები და ტენდენციები", ,,საქართველოს საგარეო პოლიტიკის ანალიზი" - სწავლის შედეგების (ცოდა და გაცნობიერების ნაწილიში) რეფორმულირება მათი მკაფიოობისა და გაზომვადობის უზრუნველსაყოფად;
7. რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსებში სწავლება-სწავლის მეთოდების გადახედვა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად;
8. რეკომენდირებულია, რიგ სასწავლო კურსებში შეფასების კომპონენტები შესაბამისობაში მოვიდეს კურსის სპეციფიკასთან და სწავლის შედეგებთან.

რჩევები

1. სასურველია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

2. სასურველია სასწავლო კურსი - გადაწყვეტილებების მიღება საერთაშორისო ურთიერთობებში, გადავიდეს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში რომ სასწავლო კურსის სწავლის შედეგები - პრაქტიკული უნარების განვითარება რეალურად იქნეს მიღწეულ სტუდენტისთვის;
3. სასურველია სასწავლო კურსი International Security გახდეს სავალდებულო ხასიათის და გათვალისწინებული იქნეს წინაპირობად სასწავლო კურსისთვის War and Peace in International Relations;
4. სასურველია პროგრამაში გაძლიერდეს ეკონომიკური ბლოკის საკითხების სწავლება;
5. სასურველია თვისებრივი კვლევის მეთოდების კურსიდან ამოღებულ იქნეს თემა რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზი, ხოლო რაოდენობრივი კვლევის მეთოდების კურსი გადავიდეს არჩევით საგნებში. ასევე თვისებრივ კვლევის მეთოდებში განახლდეს ლიტერატურა.
6. სასურველია სასწავლო კურსში Decision-Making in International Relations გამდიდრეს სავალდებულო სასწავლო ლიტერატურა, მათ შორის დამატებითი საკითხავი მასალის სავალდებულო ნაწილში გადმოტანით ან/და რელევანტური სამეცნიერო ლიტერატურის მითითებით;
7. სასურველია სასწავლო კურსში Theory of International Relations შეიცვალოს თეორიული სახელმძღვანელო Burchill, Scott, Andrew Linklater, Richard Devetak et. al. Theories of International Relations, 5th edition. New York: Pelgrave, 2013, რაც უფრო საბაკალავრო დონის სახელმძღვანელოდ მიიჩნევა;
8. სასურველია პერიოდულად მოეწყოს სამომავლოდ უცხოელი პროფესორებისა და დარგის სპეციალისტების ონლაინ-ვიზიტები, რათა ლექციებისა და შეხვედრების მეშვეობით სტუდენტები გაეცნონ დარგის თეორიულ და პრაქტიკულ სიახლეები. ეს თავის მხრივ კიდევ უფრო მეტად გაზრდის სტუდენტთა მოტივაციას ჩაერთონ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პროცესებში;
9. სასურველია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაში სამომავლოდ კიდევ უფრო მეტი სტუდენტის ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის წარმომადგენლების მიერ, რაც ინტერნაციონალიზაციის კუთხით პროგრამის საქმიანობის გაძლიერების პროცესში კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება;
10. საასურველია საერთაშორისო პრაქტიკისა და დარგის სამეცნიერო სიახლეების გაზიარებაგაცნობის მიზნით, გააქტიურდეს პროგრამის სასწავლო-კვლევით საქმიანობაში უცხოელი მეცნიერების ჩართვა რეგულარულ საწყისებზე;
11. სასურველია, პროგრამის განვითარებისათვის უცხოელი ექსპერტებისგან იყოს მიღებული გარკვეული შეფასებები, მით უფრო რომ უნივერსიტეტს აქვს საკმაოდ მრავალფეროვანი საერთაშორისო კონტაქტები და მემორანდუმებით განსაზღვრული ურთირთობები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზედააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 6 თვეში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3[1] პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის,

მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

მეოთხე საკითხი : შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2011 წლის 02 დეკემბრის N395 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ეკონომიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -8
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 ეკონომიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0179, ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N25
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება

√ არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, მიმდინარე წლის 24 სექტემბერს. შეფასებამდე, ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული დავალებები და დააორგანიზა დისტანციური წინასააკრედიტაციო შეხვედრა. ჯგუფის წევრებმა გაცვალეს ინფორმაცია, შეაჯერეს კონკრეტული ბუნდოვანი საკითხები, კითხვები და ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ. დააზუსტეს საკითხთა წრე, რომელიც იწვევდა განსაკუთრებულ ინტერესს. შეთანხმდა სააკრედიტაციო ვიზიტის განრიგი. შემუშავდა შეიკითხვების ჩამონათვალი. უნივერსიტეტს გაეგზავნა დამატებითი დოკუმენტების და მასალების წარმოდგენის მოთხოვნა, ვიზიტამდე 2 დღით ადრე უსდ-მ ექსპერტებს წარუდგინა დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე. დისტანციური შეფასება დაიწყო შეხვედრის განრიგით გათვალისწინებულ დროს, ექსპერტთა სრული შემადგენლობით. ჩატარდა გრაფიკით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა. ექსპერტებს ჰქონდათ სრული შესაძლებლობა გაცნობოდნენ ყველა დოკუმენტს, რომლითაც დასტურდებოდა თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია. ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მაქსიმალურად უზრუნველყო პირობები იმისთვის, რომ დისტანციური რეჟიმის მიუხედავად, ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა/სკოლამ შეიმუშავოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია.
2. მიზანშეწონილია, სასწავლო კურსის „ეკონომიკური კვლევის მეთოდები, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი“ სახელწოდებაში აისახოს მისი შინაარსი და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით - „ეკონომიკური კვლევის მეთოდები, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი SPSS პროგრამის გამოყენებით“.
3. მიზანშეწონილია, სასწავლო კურსის ,,აკადემიური წერა“ ბოლო თემა ჩანაცვლდეს ისეთი თემით, რომელიც სტუდენტს მიაწვდის ცოდნას კვლევის შედეგების წარდგენის, არგუმენტირებულად დაცვის, სამეცნიერო დისკუსიის წარმართვის და სხვა უნარებს, რომელიც უმნიშვნელოვანესია კვლევითი პროდუქტის საჯარო განხილვის და აღიარების პროცესის ხელშეწყობისთვის;
4. გადასასინჯია სასწავლო კურსის ,,სწავლის მეთოდები“ ძირითადი ლიტერატურა, სადაც წარმოდგენილია მაგალითად ,,მოდულური პროფესიული პროგრამების გზამკვლევი“

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომლის ფარგლებში უნივერსიტეტის მიმდინარე პერიოდში აწარმოებს მოლაპარაკებებს უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტთან. ექსპერტთა რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნება პროგრამის განვითარების პროცესში, რადგან აღნიშნული საკითხი დაწესებულების მიერ ისედაც იდენტიფიცირებულია, როგორც გასაუმჯობესებელი მხარე და ასახულია წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში.
აღსანიშნავია ასევე, რომ ექსპერტთა მიერ დასკვნაში განსაზღვრული რეკომენდაციების აუცილებლად იქნება გათვალისიწნებული დაწესებულების მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ მოცემული მდგომარეობიდან გამომდინარე, პროგრამა არის დეფიციტური, შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერსდა თუ საიდან იფარება მოცემული დეფიციტი. გარდა ამისა, აღსანიშნავია თუ რითი იყო განპირობებული წარმოდგენილი პროგრამის არსებობა, იმ მოცემულობით, რომ დაცული იყო მხოლოდ ერთი დისერტაცია.
საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ ,,მეცნიერების მენეჯმენტს“ კითხულობს ასისტენტ-პროფესორი, შესაბამისად დააზუსტა თუ რამდენად რელევანტურია სადოქტორო პროგრამაზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კურსის წაკითხვა ასისტენტ-პროფესორის მიერ. ამასთან საბჭოს წევრმა განმარტა, რომ ექსპერტების მიერ განსაზღვრული რეკომენდაცია ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით მიმართულია მხოლოდ პროგრამის გაუმჯობესებისკენ.

საბჭოს წევრმა ნიკა თიკანაშვილმა, აღნიშნა, რომ სადქტორო მიმართულება თავის მხრივ უნდა მოიცავდეს საერთაშორისო აქტივობებს. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის ფარგლებში დაცულია ორი სამაგისტრო ნაშრომი, აქედან გამომდინარე საბჭოს წევრი დაინტერესდა იქნა თუ არა ექსპერტთა მიერ შესწავლილი დოქტორანტების მიერ კვლევის განხორციელების დროს გარკვეულ საერთაშორისო აქტივობებში ჩართულობა.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშილმა ყურადღება გაამახვილა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ მე-3 რეკომენდაციაზე და განმარტა, რომ რეკომენდაცია გაცემულია არჩევით სასწავლო კურსთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ

რამდენად რელევანტურია რეკომენდაციის განსაზღვრა არჩევით სასწავლო კურსთან მიმართებით და რაზე გადის აკადემიური წერის სასწავლო კურსი თუ არა მოცემულ სწავლის შედეგზე.

საბჭოს წევრმა, აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ,,მეცნიერების მენეჯმენტის" სასწავლო კურსი, კერძოდ აღნიშნული კურსი დოქტორანტს უნდა აძლევდეს დაფინანსების მოძიებისა და საგრანტო პროექტების შემუშავების შესახებ ცოდნის გაღრმავებიის შესაძლებლობას, თუმცა სასწავლო კურსის სილაბუსში განსაზღვრულია ახალი ცონდის გამოქვეყნება რეიტირნგულ ჟურნალებში და აკადემიურ წერასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე საინტერესოა თუ რატომ ჩაითვალა აღნიშნული სასწავლო კურსის სწავლის შედეგებში ბაზების გამოყენება.
საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ კვლევის მეთოდების კურსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კურსი მოიცავს როგორც თვისობრივ ისე რაოდენობრივ კვლევას, თუმცა თითქმის ყველა კვირაში spss-ის სავარჯიშოები არის განსაზღვრული დავალებად, რაც ძალიან კარგია, თუმცა რამდენად რელევანტურია თვისობრივი კვლევის კუთხით. საბჭოს წევრმა ასევე დააზუსტა დისერტაციების საკითხი და დაინტერესდა თუ რა ეტაპებს გადის დისერტაცია დაცვამდე და არსებობს თუ არა დაცვამდე, დისერტაცის გარდა სხვა ნაშღომის მომზადების აუცილებლობა. ასევ საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რა მოთხოვნები არსებობს დოქტორანტების მიმართ სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების კუთხით.
საბჭოს წევრი, ანზორ ბერიძე დაინტერესდა, განუხორციელებია თუ არა დაწესებულებას რაიმე კვლევითი პროექტი და რა არის დაგეგმილი ამ კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ინსტიტუციას აქვს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, თუმცა ექსპერტებმა იხელმძღვანელეს იქიდან გამომდინარე, რომ წარმოდგენილი იყო სადოქტორო პროგრამა საერთაშორისო სამეცნიერო სივრცესთან ინტეგრაციის გარეშე. აღნიშნული თანამედროვე რეალობაში წარმოუდგენელია, რადგან სადოქტორო პროგრამა საჭიროებს ეფექტიან კვლევებს. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტს აქვს ინტერნაციონალიზაციის კუთხით ღონისძიებები განხორციელებული. დოქტორანტებს მოეთხოვბათ გამოქვეყნებები საერთაშორისო კვლევით პროექტებში.
მნიშვნელოვანია, რომ ექსპერტთა ჯგუფი ასევე გაეცნო ერთ დისერტაციას, რომლის ავტორსაც ჰქონდა გამოქვეყნება საერთაშორისო კვლევით პროექტში. რაც შეეხება იმ სტუდენტებს, რომლებსაც ახალი დაცული ჰქონდათ დისერტაციები, ნაშრომებში იყო გათვალისწინებული ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი, საერთაშორისო გამოქვეყნების სახით. სტუდენტებს ასევე წარდგენილი ჰქონდათ გრანტი რუსთაველის ფონდში, რომელიც სამწუხაროდ ვერ დაფინანსდა, თუმცა მცდელობა ნამდვილად იყო. მისი თქმით, მნიშვნელოვანია არსებობდეს სტრატეგია, რომელიც უნივერსიტეტს ამ კუთხით მუშაობაში ხელს შეუწყობს.
მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო კურსის „ეკონომიკური კვლევის მეთოდები, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი" მიზანია დოქტორანტმა შეისწავლოს ეკონომიკური კვლევის საერთო მეთოდები, პირველადი და მეორადი მონაცემების დამუშავებისთვის საჭირო ანალიტიკური მეთოდები და მიდგომები, გამოუმუშავდეს ეთიკური ნორმების დაცვით სამეცნიერო კვლევების დამოუკიდებლად დაგეგმვის და განხორციელების უნარი. თუმცა აღნიშნული სასწავლო კურსი ემყარება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის პროცესში SPSS პროგრამის გამოყენებას. შესაბამისად, მიზანშეწონილია, სასწავლო კურსის სახელწოდებაში აისახოს მისი შინაარსი და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით - „ეკონომიკური კვლევის მეთოდები, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი SPSS პროგრამის გამოყენებით".
რაც შეეხება აკადემიურ წერას, ბოლო თემა დაკავშირებული იყო რედაქტირებასთან და ტექნიკურ ხარვეზთან, შესაბამისად, რადგან სასწავლო კურსი არჩევითია, მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება სტუდენტებს გავლილი ჰქონდეთ მსგავსი თემები, მაინც კრიტიკული აზროვნება და არგუმენტირების საკითხები სილაბუსში

ჩადებულია. ამასთან, მიზანშეწონილია, სასწავლო კურსის ბოლო თემა ჩანაცვლდეს ისეთი თემით, რომელიც სტუდენტს მიაწვდის ცოდნას კვლევის შედეგების წარდგენის, არგუმენტირებულად დაცვის, სამეცნიერო დისკუსიის წარმართვის და სხვა უნარებთან დაკავშირებით, რომელიც უმნიშვნელოვანესია კვლევითი პროდუქტის საჯარო განხილვის და აღიარების პროცესის ხელშეწყობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია დაწესებულებას აქვს და მუშაობს ამ კუთხით თუმცა, რეალურად აღნიშნული არ არის სტანდარტის მოთხოვნა.

რაც შეეხება ფაკულტეტის ბიუჯეტს, სკოლის ბიუჯეტის უკან დგას ცენტრალური (უნივერსიტეტის) ბიუჯეტი, საიდანაც შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში ხდება ნებისმიერი თანხის გამოყოფა. პროგრამა ფინანსურად მდგრადია და აღნიშნულთან დაკავშირებით პრობლემა არ არსებობს.

მნიშვნელოვანია ასევე ,,მეცნიერების მენეჯმენტის" სასწავლო კურსის საკითხი, კერძოდ კურსის ხელმძღვანელია ასისტენტ-პროფესორი, რაც წარმოადგენს პირის აკადემიურ თანამდებობას. კურსის ხელმძღვანელს აქვს შესაბამისი გამოცდილება და კვალიფიკაცია. წლების განმავლობაში იყო შოთა რუსთაველის ფონდის დირექტორის მოადგილე და ამჟამადაც არის ერთ-ერთი სამცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ სასწავლო კურსის თემატიკა საკმაოდ საინტერესოა, თუმცა იმ სასწავლო თემებით რა სწავლის შედეგზე უნდა გავიდეს კურსდამთვარებული, არ შეესაბამება კურსის შინაარსს. თავისი შინაარსით კურსის შედეგები იმეორებს აკადემიური წერის სასწავლო კურსის შედეგების შინაარსს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი გახილული იქნება სასწავლო კურსის განმახორციელებთან.

რაც შეეხება პროგრამის არებობის აუცილებლობას, აღნიშნული მიმართულება საკმაოდ პრიორიტეტულია უნივერსიტეტისთვის, შესაბამისად დაწესებულებას უღირს ამ პროგრამის განხორციელება და შენარჩუნება. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს კვლევის ხარისხი, დაცული იყოს მხარეების ინტერესები და მიღწეული იყოს პროგრამის შედეგები, ინსტიტუცია ყოველ სემესტრში ერთხელ ავალდებულებს დოქტორანტს, რომ სემესტრის დასრულებისას ის წარსდგეს ანგარიშით თუ რა გააკეთა სემსეტრის განმავლობაში. აღნიშნულ ანგარიშს დოქტორანტის აკეთებს დარგობრივი კომისიის წინაშე და მას თან ახლავს ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტი (დადასტურება და მიცემული შეფასება). პროცესის განმავლობაში კომისია ასევე გასცემს რეკომენდაციებს, რომლის შესრულების შესახებ დოქტორანტმა შემდეგი ანგარიშის წარდგენისას უნდა ისაუბროს.

სამეცნიერო ნაშრომებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დოქტორანტურის დებულებაში დეტალურად არის მოცემული თუ რამდენი ნაშრომების გამოქვეყნება ევალება დოქტორანტს. დოქტორანტმა უნდა გამოაქვეყნოს ოთხი სამეცნიერო ნაშრომი, რეცენზირებდ/რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში და აუცილებლად უნდა იყოს ერთ-ერთი ნაშრომი გამოქვეყნებული საერთაშორისო იმპაქტფაქტორიან ჟურნალში ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის სამუშაო მასალებში.

პროგრამის ხელმძღვანელმა კველვის მეთოდებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ spss განხილულია იმ თვალსაზრისით, რომ აღნიშნული წარმოადგენს თანამედროვე მეთოდებს. ყველა პროექტს ახლავს სტატისტიკური კვლევის მეთოდები, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ დაწესებულება სხვა მეთოდებზე ამბობს უარს. აღნიშნული მეთოდი უმეტესად რაოდენობრივი კვლევით მეთოდებშია გამოყენებული, თუმცა გამოიყენება ასევე თვისობრივი კვლევის მეთოდები და ხანდახან ხდება მათი სინთეზიც.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყებისდრო: 20:28
დასრულებისდრო: 21:00

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდმე - 2 სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.
დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები
1. გადასასინჯია სასწავლო კურსის ,,სწავლის მეთოდები“ ძირითადი ლიტერატურა, სადაც წარმოდგენილია მაგალითად ,,მოდულური პროფესიული პროგრამების გზამკვლევი“.
2. რეკომენდირებულია რიგ სასწავლო კურსებში სახელწოდება, შინაარსი და სწავლის შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში ერთმანეთთან, სწავლების საფეხურთან და დაზუსტდეს სავალდებულო ლიტერატურა (მაგ. მეცნიერების მენეჯმენტი, აკადემიური წერა, კვლევის მეთოდები);
3. რეკომენდირებულია დოქტორანტმა მინიმუმ ერთი სტატია გამოაქვეყნოს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში (Scopus და Web of Science) ინდექსირებულ ჟურნალში;
4. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის სრულად/სრულფასოვნად უზრუნველსაყოფად.

რჩევები:

1. სასურველია სადოქტორო პროგრამამ შეიმუშავოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;
2. პროგრამის განვითარების მიზნით, სასურველია, დამუშავდეს ისეთი არჩევითი კურსები, როგორებიცაა ,,მაკროეკონომიკა“, ,,მიკროეკონომიკა“, ,,განვითარების ეკონომიკა“ და ა.შ. გაღრმავებული დონეები და შეთავაზებულ იქნას არჩევითი კურსების სახით;
3. უნივერსიტეტმა, სასურველია, უფრო მეტად იზრუნოს და ეფექტიანი გახადოს სტუდენტების ჩართულობა კვლევით პროექტებში სწავლების ადრეულ საფეხურებზე, რაც ხელმძღვანელთან ერთად სამეცნიერო პროდუქტის შექმნის გზით არის შესაძლებელი;
4. სასურველია, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მოწვევა შესაძლებელი იყოს უცხოური უნივერსიტეტებიდანაც, რაც გააძლიერებს უსდ-ს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებას;
5. სასურველია, საერთაშორისო მიმართულებებით მუშაობის გააქტიურება, მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში;
6. სასურველია, წიგნადი ფონდის გამდიდრება უახლესი სამეცნიერო გამოცემებით, განსაკუთრებით სწავლების მეთოდოლოგიისა და კვლევების მიმართულებებით;
7. სასურველია, უსდ-მ პროგრამის ფარგლებში გააძლიეროს ფონდების მოძიება მათ შორის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი პროექტებიდან;
8. სასურველია, გაიზარდოს უსდ-ს შიდა სამეცნიერო გრანტების მოცულობა;
9. სასურველია, პროგრამის განვითარებაში უნივერსიტეტმა ჩართოს მეტი უცხოელი ექსპერტი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით

კენჭისყრისშედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭოს სხდომა დასრულდა 21:05 საათზე

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ